UDC 33
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-104-111

# სამეწარმეო ფაქტორები და მათი მნიშვნელობა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის

**ელენე მენაბდე-ჯობაძე** — საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: e.menabde@gtu.ge

**ნანა ნიკოლეიშვილი** — საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: n_nikoleishvili1@cu.edu.ge

**რეცენზენტები:**

**ა. სიჭინავა,** სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: asichinava@gtu.ge

**ა. აბრალავა,** სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: a.abralava@gtu.ge

**ანოტაცია.** თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში მეწარმეობა განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი მექანიზმი და ეროვნული ეკონომიკური სისტემების ინოვაციური პოტენციალის წყარო. გლობალურ ეკონომიკაში მეწარმეობა ტრადიციული ეკონომიკური მექანიზმიდან გარდაიქმნება ეროვნული ეკონომიკური სისტემების ინოვაციური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად. თანამედროვე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები ფუნდამენტურად ახალ მოთხოვნებს აყენებს სამეწარმეო საქმიანობის არსის გასაგებად. რთული ეკონომიკური პროცესების ახსნისას კლასიკური თეორიული მოდელები სულ უფრო მეტად არაეფექტურია, რაც მეწარმეობის, როგორც მულტიფაქტორული სისტემის შესწავლის ახალი კონცეპტუალური მიდგომების შემუშავებას მოითხოვს.

კვლევის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების სისტემური ელემენტი. კვლევის საგანია სამეწარმეო ფაქტორების გავლენა ეკონომიკური ზრდის გრძელვადიან დინამიკაზე.

კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა სამაგიდო კვლევა. ასევე ჩატარდა გამოკითხვა მეწარმეებთან. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა, როგორც რაო-

დენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის შედეგები განზოგადდა საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის სრულ არეალზე.

კვლევის მიზანია ძირითადი სამეწარმეო ფაქტორების იდენტიფიცირება, მათი გავლენის შეფასება ეკონომიკურ ზრდაზე და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების რეკომენდაციების შემუშავება.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ზრდა; მეწარმეობა; სამეწარმეო ფაქტორები.

## შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება მეწარმეობას განიხილავს როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორს, რომელსაც ეროვნული ეკონომიკური სისტემების პროგრესული ზრდისთვის ინოვაციური გადაწყვეტილებების გენერირება და ახალი შესაძლებლობების შექმნა შეუძლია. გლობალური ცვლილებების და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის კონტექსტში, მეწარმეობის როლი რადიკალურად იცვლება მარტივი მოგების მიღებიდან, მდგრადი ეკონომიკური პროგრესის სტრატეგიულ მექანიზმად.

სამეწარმეო ფაქტორების სამეცნიერო ანალიზის აქტუალობა განპირობებულია რამდენიმე ფუნდამენტური გარემოებით:

- მეწარმეობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის გაგების ტრადიციული მიდგომების გადახედვის აუცილებლობა;
- სამეწარმეო პოტენციალის შეფასების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა;
- ინოვაციური მექანიზმების მზარდი როლი ეკონომიკური დინამიკის უზრუნველყოფაში.

მეწარმეობა ექსკლუზიური ეკონომიკური კატეგორიიდან რთულ მულტიფაქტორულ სისტემად გარდაიქმნება, რომელიც განვითარების ინსტიტუციურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და შემეცნებით კომპონენტებს აერთიანებს.

სამეწარმეო ფაქტორების შესწავლას ფუნდამენტური საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური აზროვნების კლასიკურმა წარმომადგენლებმა: ჯოზეფ შუმპეტერმა, ფრიდრიხ ჰაიეკმა, პიტერ დრაკერმა. თანამედროვე სამეცნიერო სკოლებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები. სამეწარმეო ფაქტორები არ არის მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მახასიათებელია ეკონომიკური სისტემისთვის, რომელიც: ქმნის ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, ბაზრის ახალ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს ეკონომიკის სისტემების ადაპტირებას გარე ცვლილებებთან.

კვლევის შედეგების გამოყენება შეიძლება: სამთავრობო ორგანოების, მეწარმეობის განვითარების ინსტიტუტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ცენტრების მიერ.

## ძირითადი ნაწილი

მეწარმეობა გამოწვევების გარეშე წარმოუდგენელია. მეწარმემ უნდა გააცნობიეროს ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასა და წარმატებას. კაპიტალი უმნიშვნელოვანესია სამეწარმეო საქმიანობისთვის. მის გარეშე შეუძლებელია წარიმართოს სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ მხოლოდ კაპიტალი

ვერ უზრუნველყოფს მეწარმის სრულ წარმატებას. სამეწარმეო ფაქტორებში ერთიანდება: ინსტიტუტები, კრეატიულობა, გამძლეობა, მოთმინება, ლიდერობა, კავშირები, სამეწარმეო ცოდნა, რისკის აღების სურვილი, იდეის განხოცრიელება, სამეწარმეო უნარები, სამეწარმეო ინტელექტი, გუნდური მუშაობა და გამოცდილება.

მეწარმეობის ფაქტორები უმნიშვნელოვანესია ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. მეწარმეები ქმნიან სამუშაო ადგილებს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ზრდის მშპ-ის რაოდენობას. ისინი შესაბამისად პასუხობენ ბაზრის ახალ მოთხოვნებს თავიანთი ინოვაციური პროდუქციითა და მომსახურებით. ეს ხელს უწყობს ქვეყანაში ტექნოლოგიურ წინსვლას. ახალი მეწარმეები კი ქმნიან კონკურენტულ გარემოს ქვეყანაში [2]. რაც უფრო მაღალია კონკურენცია, მით უფრო ვითარდება პროდუქცია და მომსახურება ბაზარზე. მომხმარებლები დგანან არჩევანის წინაზე შეიძინონ მათთვის სასურველი პროდუქცია, მრავალი ალტერნატივიდან. ახალი მეწარმეები ქმნიან კარგ საინვესტიციო გარემოს, რაც იზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ მეწარმეებს. მეწარმეობის და მისი ფაქტორების ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.

სამეწარმეო ფაქტორები უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაზე. მისი ანალიზი უმნიშვნელოვანესია ბიზნესგეგმის შექმნისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ფაქტორები იყოფა რამდენიმე ჯგუფად. გამოიკითხა 68 მეწარმე სამეწარმეო ფაქტორების გავლენის მნიშვნელობაზე მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.

**ეკონომიკური ფაქტორები,** რომელშიც ერთიანდება:

- ბაზრის მდგომარეობა;
- ეკონომიკური ზრდა;
- ინფლაცია.
- ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო

და მისი გავლენა.



**პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები,** რომელშიც ერთიანდება:

- კანონი და რეგულაციები;
- ბაზარზე არსებული სამართლებრივი გარემო;
- ხელისუფლების სტაბილურობა;
- მეწარმის მხარდამჭერი პროგრამები;
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაცემული დახმარებები.

**სოციალურ და კულტურულ ფაქტორებში** ერთიანდება:

- მომხარებლის ქცევა და ტენდენციები;
- ცხოვრების სტილი და კულტურული შეხედულებები;
- დემოგრაფიული ფაქტორები: მოსახლეობის ასაკობრივი მაჩვენებელი, სქესი და განათლების დონე.



**ტექნოლოგიურ ფაქტორებში** ერთიანდება:

- ტექნოლოგიების განვითარება;
- ინოვაციები და ტექნოლოგიები;
- ტექნოლოგიური კონკურენცია, რაც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიებით ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას;

**ემოციები და მასთან დაკავშირებული ფაქტორები,** რომელშიც ერთიანდება:

- სასწავლო და სამუშაო ძალა;
- სამუშაო ძალის მომზადების დონე და მისი ხარისხი;
- ფინანსური რესურსები: კაპიტალზე ხელმისაწვდომობის დონე და მის ვადაში დასაფარად საჭირო ფინანსური პირობები;

**გარემო ფაქტორები:**

- ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- კომპანიების მხრიდან გათვალისწინებული ის ეკოლოგიური სტანდარტები, რაც აუცილებელია ბუნების დასაცავად.

გამოკითხვა მოიცავდა, როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებს. ღია კითხვებში გაერთიანდა თითოეული ფაქტორი და ამ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის ფარგლებში გამოკითხული მეწარმეები ასახელებდნენ ძირითად პრობლემებს, რომელთა შორისაა ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე სამეწარმეო ფაქტორების შესახებ. გამოკითხულთა 100% ერთხმად აღნიშნავდა, მისი გამოსწორების აუცილებლობას. ასევე მათი 100% მიიჩნევს, თუ რაოდენ დიდი პოტენციალი აქვს საქართველოს სამეწარმეო განვითარების კუთხით, და რომ ის სანახევროდაც არ არის ათვისებული.

საინტერესო იყო უშუალოდ სამეწარმეო ფაქტორების გარშემო მათი მოსაზრებები. ღია კითხვაზე, თუ რა პრობლემების მოგვარებას ისურვებდით სამეწარმეო საქმიანობაში, მეწარმეები უმეტესად ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობი პროგრამების ნაკლებობაზე, ითხოვენ მეტ თანადგომას, ასევე ყურადღებას ამახვილებენ პროფესიონალი კადრების ნაკლებობაზე, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და საგადასახადო პოლიტიკის გადახედვაზე.

დახურულ კითხვებში სამი ფაქტორი არ იყო ჩაშლილი, ამას თავისი მიზანი ჰქონდა. კერძოდ, თავად თუ გაამახვილებდნენ ყურადღებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ტექნოლოგიური განვითარება, კადრების განათლებისა და გამოცდილების დონე და ეკოლოგიური სტანდარტები. ისინი აღნიშნავენ თითოეულ ფაქტორს, გარდა ეკოლოგიური სტანდარტებისა, რაც მიანიშნებს ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე. ეს პრობლემური საკითხია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

მოცემული ფაქტორები მონაწილეობს და ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. შეუძლებელია მეწარმემ მიაღწიოს წარმატებას ამ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. სამეწარმეო ფაქტორების გაანალიზება მეწარმეს შესაძლებლობას აძლევს უკეთ განსაზღვროს საქმიანობის მიზანი და სტრატეგია. მეწარმეს ფაქტორების ანალიზით შეუძლია სწორად შეაფასოს მომავალი საფრთხეები და მისგან თავის არიდების გზები. სამეწარმეო ფაქტორების ანალიზი ეხმარება მეწარმეს კონკურენტულ ბაზარზე თავის დასამკვირდრებლად და პო-

ზიციების შესანარჩუნებლად. მათ აქვთ შესაძლებლობა სწორად დაგეგმონ მარკეტინგული და გაყიდვების სტრატეგიები. რაც უფრო მეტადაა მეწარმე გარკვეული და გაცნობიერებული სამეწარმეო ფაქტორებში, უფრო მიმზიდველი ხდება ის უცხოელი ინვესტორებისთვის. თითოეული ეს ნაბიჯი ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას.

სამეწარმეო ბაზრის განვითარება ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და ქვეყნის განვითარებას. მეწარმეობა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრაში დიდ როლს ასრულებს. მეწარმეები ხარჯავენ დროს და ენერგიას პროდუქტების და მომსახურების საწარმოებლად. მეწარმე ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტზე გატანას. მეწარმემ წარმატებას რომ მიაღწიოს, საჭიროა სხვადასხვა უნარი, მათ შორისაა სამეწარმეო უნარი და მენეჯერული უნარი. მთავრობას შეუძლია მაქსიმალურად წაახალისოს ამ კუთხით ისინი, კერძოდ დააფინანსოს ტრენინგები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეწარმეს ამ უნარების გაუმჯობესებაში [1], ეს კი თავის მხრივ ინოვაციებს განავითარებს, რადგან მეწარმეობა და ინოვაციები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან, ერთი გამოიწვევს მეორის განვითარებას. საკანონმდებლო მხარეც მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობისთვის. მეწარმეს თუ არ აქვს კანონის უზენაესობის განცდა და ნდობა მის მიმართ, მას არ ექნება მოტივაცია, ასეთ გარემოში აწარმოოს პროდუქცია და მომსახურება. ეს შეამცირებს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ინვესტიციებს. მნიშვნელოვანია საზოგადოების როლი ამ კუთხით, ცნობიერების ამაღლების დონე მეწარმის როლისა და მისი საქმიანობის მნიშვნელობის გააზრებით არა მხოლოდ ეკონომიკისთვის, არამედ მთელი ქვეყნის კეთილდღეობისთვის [5].

## დასკვნა

მეწარმეობა არის რთული მრავალფაქტორიანი სისტემა, რომელიც სცილდება ეკონომიკური საქმიანობის ტრადიციულ გაგებას და წარმოადგენს ინოვაციური განვითარების რთულ მექანიზმს. სამეწარმეო ფაქტორები წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს მის ადაპტირებას და ტრანსფორმაციის პოტენციალს.

მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხელსაყრელი ინსტიტუციური გარემოს ფორმირება:

- მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესება; სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა; ინფრასტრუქტურის განვითარება სამეწარმეო ინიციატივების მხარდასაჭერად.
- სამეწარმეო კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება: პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების ინტეგრაცია; უწყვეტი სამეწარმეო განათლების სისტემის შექმნა; ინოვაციური აზროვნების უნარის განვითარება.
- მეწარმეობის ხელშეწყობის ფინანსური მექანიზმების გაუმჯობესება: დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია; ვენჩურული ინვესტიციების განვითარება; სპეციალიზებული ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა.

მეწარმეობა არ არის მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია, არამედ ის რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემაა, რომელიც გამოიმუშავებს ინოვაციურ ენერგიას, ქმნის ახალ საბაზრო შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს ეკონომიკური სისტემის ადაპტირებას და მოქმედებს როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა.

კვლევის შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზას სამეწარმეო ფაქტორების ფუნდამენტური როლის შესახებ მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში.

## ლიტერატურა


1. Horowitz, B. (2014). The Hard Thing About Hard Things. New York: HarperCollins Publishers.
2. Coretta W. W. (2019). Human-Centered Innovation: The Role of Design Thinking.
3. Thiel P. (2014). Zero to One. New York: Penguin Random House Company.
4. Sinek S. (2019). The Infinite Game. Great Britain: Penguin Random House
5. Scott - T. Venessa. (2018 ). Social Enterprise: A Global Perspective.

UDC 33
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-104-111

# Entrepreneurial Factors and their Importance for Long-term Economic Growth

**Elene Menabde-Jobadze** Department of Engineering Economics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: e.menabde@gtu.ge

**Nana Nikoleishvili** Department of Engineering Economics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: n_nikoleishvili1@cu.edu.ge

**Reviewers:**

**A. Sitchinava,** Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologiesand Social Sciences, GTU
E-mail: asichinava@gtu.ge

**A. Abralava,** Professor, Faculty of Business Technology, GTU
E-mail: a.abralava@gtu.ge

**Abstract.** In modern economic science, entrepreneurship is considered as the main mechanism of economic development and the source of innovative potential of national economic systems. In the global economy, entrepreneurship is transformed from a traditional economic mechanism into the main driver of innovative development of national economic systems. Modern geopolitical and economic transformations make fundamentally new demands for understanding the essence of entrepreneurial activity. In explaining complex economic processes, classical theoretical models are increasingly ineffective, which requires the development of new conceptual approaches to the study of entrepreneurship as a multifactorial system.

The object of research is entrepreneurial activity as a systemic element of economic development. The subject of research is the influence of entrepreneurial factors on the long-term dynamics of economic growth.

Desk research was chosen as the research methodology. A survey was also conducted with entrepreneurs. Both quantitative and qualitative research methods were used during the research. The results of the research were generalized to the entire area of entrepreneurial activity in Georgia.

The purpose of the research is to identify the main entrepreneurial factors, assess their impact on economic growth and develop recommendations for stimulating entrepreneurial activity.

**Keywords:** economic growth; entrepreneurship; entrepreneurial factors.

*განხილვის თარიღი 04.12.2024*
*შემოსვლის თარიღი 04.12.2024*
*ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025*